საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

MES 2 22 0000794238

12/07/2022

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-6 პუნქტის, 35-ე მუხლის, 36-ე მუხლის, 39-ე მუხლის, მე-40 მუხლის პირველი პუნქტის, 41-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 42-ე მუხლის, 43-ე მუხლის, 126^1 მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, მე-9 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 მუხლის მე-8 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.
2. კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადის წარდგენის ვადა განისაზღვროს სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge) კონკურსის გამოცხადებიდან 10 კალენდარული დღის ოდენობით, 2022 წლის 13 ივლისიდან 2022 წლის 22 ივლისის ჩათვლით.
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვაკანტურ თანამდებობაზე სარგო განისაზღვრება 2090 (ორი ათას ოთხმოცდაათი) ლარის ოდენობით.

4. ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 1 (ერთი) ადგილზე.
5. სამუშაოს ტიპი - სრული განაკვეთი.
6. გამოსაცდელი ვადა - 6 თვე.
7. ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა) განათლება - მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (სასურველია განათლების მეცნიერებების / განათლების მენეჯმენტის / განათლების ადმინისტრირების მიმართულებით);
ბ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირების ან/და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ცოდნა, რომელიც დასტურდება შესაბამისი კვალიფიკაციით/კომპეტენციით (დიპლომი ან/და 2-წლიანი სამუშაო გამოცდილება ან/და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის სერტიფიკატი);
გ) ტრენინგების ორგანიზების ან/და ჩატარების გამოცდილება, რაც დასტურდება წარმოდგენილი რეზიუმეთი ან/და სხვა დოკუმენტით;
დ) ინგლისური ენის (წერა და მეტყველება) ფლობა - B2 დონეზე, ქართული ენის (წერა და მეტყველება) ფლობა - C2 დონეზე;
ე) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Ms. Word, Ms. Excel, Ms. PowerPoint) კარგად ცოდნა, რაც დასტურდება წარმოდგენილი რეზიუმეთი.
8. კონკურსში მონაწილე კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი საკონკურსო თემატიკის ცოდნა:
ა) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
ბ) საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“;
გ) საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“;
დ) „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება;
ე) „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანება;
ვ) „არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების წესისა და პირობების და არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის №459 დადგენილება;
ზ) „არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 სექტემბრის №188/ნ ბრძანება;
თ) „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2020 წლის 25 მაისის №408413 ბრძანება;
ი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბერის №89/ნ ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“.
9. ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:
9.1. მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების, უმაღლესი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მოპოვების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის პროცესების განხორციელება და ადმინისტრირება. რაც მოიცავს:
საავტორიზაციო, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მოპოვების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების განაცხადის განხილვას, ავტორიზაციის მაძიებლობის ან საფასურის განსაზღვრის პროცესების განხორციელებას, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დაგეგმვა-კოორდინაციას, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის პროექტის ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას და დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობას;
9.2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა და პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით შექმნილი ექსპერტთა კორპუსის მართვა და განვითარება, რაც მოიცავს:
ა) ექსპერტთა კორპუსების განახლების მიზნით, შესაბამისი კანდიდატურების მოძიებას;
ბ) ექსპერტებისთვის ტრენინგების, სამუშაო შეხვედრების ჩატარება, ასევე დამხმარე სახელმძღვანელოების, მეთოდოლოგიების, გზამკვლევების შემუშავების პროცესების კოორდინაციას;
გ) ექსპერტთა კორპუსის წევრთა საქმიანობის შეფასების პროცესის განხორციელება და ადმინისტრირებას, ექსპერტთა საქმიანობის შეფასებას, განხორციელებული შეფასებების ანალიზს, პერიოდულად შესაბამისი ანგარიშების მომზადებასა და სამსახურის უფროსისთვის წარდგენას;
დ) ექსპერტთა სამუშაო დატვირთვის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების, ასევე ექსპერტთა პირადი საქმების პერიოდული მონიტორინგისა და განახლების პროცესების ადმინისტრირებას;
ე) ექსპერტთა საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, შესაბამისი წინადადებების შემუშავებასა და სამსახურის უფროსისთვის წარდგენას;
ვ) ექსპერტთა საქმიანობასთან დაკავშირებით ცენტრში წარმოდგენილი საჩივრების განხილვის პროცესის ადმინისტრირებას.
9.3. პროფესიული განათლების ფარგლებში არაფორმალური განათლების აღიარების პროცესის კოორდინაციას, რაც მოიცავს:
ა) არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების პროცესების განხორციელებას;
ბ) არაფორმალური განათლების აღიარების პროცესის მონიტორინგის კოორდინაცია/განხორციელებას;
გ) არაფორმალური განათლების აღიარების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გადახედვა-გაუმჯობესების აქტივობების კოორდინაციას;
დ) კონსულტანტთა სერტიფიცირების პროცესის კოორდინაციას.
9.4. ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
10. კონკურსში მონაწილე კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარები:
ა) საქმიანობის კოორდინაციის უნარი;
ბ) დროის ეფექტური მართვის უნარი;
გ) ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი;
დ) ანალიტიკური აზროვნების უნარი;
ე) გუნდური მუშაობის უნარი.
11. კონკურსში მონაწილე კანდიდატი ვალდებულია:

ა) კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადი და დოკუმენტაცია წარმოადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის - www.hr.gov.ge - მეშვეობით;
ბ) შესაბამის ველში ატვირთოს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომი ან/და ცნობა შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე) ასლი;
გ) მიუთითოს 2 რეკომენდატორის ვინაობა (სახელი, გვარი, სამუშაო ადგილი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი);
დ) წარმოადგინოს სამოტივაციო წერილი, რომელშიც უნდა ჩანდეს თუ რატომ სურს კანდიდატს აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობა, მისი პიროვნული თვისებები, სამუშაო გამოცდილებასთან დაკავშირებული პროფესიული უნარ-ჩვევები, რომლებიც დაეხმარება მას მუშაობაში;
ე) ატვირთოს პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის სერტიფიკატი (არსებობის შემთხვევაში).
12. კონკურსი ჩატარდეს 3 ეტაპად:
ა) კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
ბ) კანდიდატის შეფასება;
გ) კონკურსის შედეგების გამოცხადება.
13. კანდიდატთა შეფასება განხორციელდეს გასაუბრების საფუძველზე, საკონკურსო თემატიკის ცოდნის, ზეპირი კომუნიკაციის უნარის, ანალიტიკური აზროვნების უნარის, დროის ეფექტური მართვის უნარის, მოტივაციისა და ინგლისური ენის კომპეტენციის გათვალისწინებით, დანართის შესაბამისად.
14. ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად ცენტრის დირექტორს წარედგინოს საუკეთესო შედეგის მქონე კონკურსანტი, იმ დათქმით, რომ მისი შედეგი (ქულა) ქულათა შესაძლო მაქსიმალური ოდენობის 50%-ზე მეტი იქნება.
15. საკონკურსო კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ქულათა სისტემის საფუძველზე, განაცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.
16. საკონკურსო კომისიის მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, საქართველო, თბილისი 0193, მერაბ ალექსიძის ქ. მეორე შესახვევი №2; ტელეფონი - (+995 32) 2 200 220.
17. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ვებგვერდის - www.hr.gov.ge - მეშვეობით კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.
18. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge - გამოქვეყნების უზრუნველყოფა.
19. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
20. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ